

## ვიზიტის ანგარიში

### მისიის წევრები:

პერ ვინტერი - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის (ადსა) აღმასრულებელი პრეზიდენტი;  
ანტონელა ვალმორბიდა - „ადსა“-ს აღმასრულებელი დირექტორი;

იოსებ ხახალეიშვილი - დელეგატი, „ადს საქართველო“

თარიღი: 2007 წლის 13-16 მარტი

### ვიზიტის მიზნები:

- სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, „ადს საქართველოს“ პარტნიორებთან შეხვედრა
- ურთიერთობათა ჩამოყალიბება ადგილობრივად პარტნიორებს შორის ქუთაისში და საოფისე ფართის საკითხის მოგვარება
- ასოციაციის დელეგატის, იოსებ ხახალეიშვილის საქმიანობის შეფასება გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდგომ.

### 2007 წლის 13 მარტი:

⇒ შეხვედრა ბილ კრაუზესთან, ურბანული ინსტიტუტის ხელმძღვანელთან.

ჩვენ მას მაძლობა მოვახსენეთ იმ მხარდაჭერისთვის, რაც მან გასწია ქ. ქუთაისში ადს-ს ოფისის გახსნისას. ჩვენ შევეთანხმდით, რომ ურთიერთობას გავაგრძელებდით შემდგომი საქმიანობებისთვის ქუთაისში. მან მოგვანათხმინა ზოგადი სახის ინფორმაცია ურბანული ინსტიტუტის საქმიანობების შესახებ, რომელიც ეხება ქალთა უფლებებსა და ახალგაზრდულ საქმიანობებს ქალაქში და თხოვა დელეგატს, რომ ხშირად დაკავშირებოდა ურბანული ინსტიტუტის წარმომადგენლებს ადგილზე, ქ. ქუთაისში. მან ხაზგასმით აღნიშნა სურვილი, ითანამშრომლონ ადგილობრივი მთავრობის აკადემიასთან, რომელთანაც ერთად ურბანული ინსტიტუტი აფინანსებს ქართული ენის კურსს. ადგილობრივი მმართველობის საკითხებზე უნდა ჩატარდეს სწავლებები და ბატონი ბილი მოხარული იქნება, თუ მას ექნება ამ საკითხისთვის შესაძლო მხარდაჭერის საშუალება. მან დაადასტურა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტო (USAID) ფრიად დაინტერესებულია ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებში და ახორციელებს დიდ პროექტს, რომელიც სწორედ ამ საკითხს ეხება. დელეგატი მას დაუკავშირდება ადგილობრივი პრობლემების შესახებ.

⇒ შეხვედრა ფაბრიციო რომანოსთან, იტალიის ელჩთან საქართველოში

ჩვენ მას გავაცანით ადს-სა და „ადსა“-ს საქმიანობები, ორგანიზაციული ქსელი და პროექტში ჩართული იტალიელი პარტნიორის შესახებაც მივაწოდეთ ინფორმაცია. ელჩმა გამოხატა მისი სურვილი, იყოს ინფორმირებული ორგანიზაციის საქმიანობების შესახებ, რათა დაამყაროს ერთობლივი კავშირები სხვადასხვა მიმართულებით, რომელსაც ის შესაძლოა ფლობდეს. საელჩოს არ გააჩნია საშუალებები დაფინანსებისთვის. ქალბატონმა ვალმორბიდამ ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ის გააგრძელებს იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროზე ლობირებას საქართველოში აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით. ივნისში, ელჩი რომში გაიწვევა. ის დაგვიპირდა, რომ ინფორმაციას ადს-ს შესახებ, ის მიაწოდებდა მის შემცვლელს.

⇒ შეხვედრა იგორ გაონთან, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელთან

ბატონმა გაონმა გავაცანო იმ კამპანიის შესახებ, რომელიც მიმართული იყო ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ და რომელსაც ორგანიზებას უწევდა ევროპის საბჭო. მან დელეგატს შესთავაზა ორგანიზება გაუწიოს იგივე სახის კამპანიას ევროპის საბჭოს ადგილობრივი წარმომადგენლობის მხარდაჭერით და ჩაატაროს იგივე ხასიათის პირველი შეხვედრა ამ კამპანიის მხარდასაჭერად, რომელიც დაკავშირებულია პროექტთან, რომელიც წარედგინა ავსტრიის განვითარების სააგენტოს ან შეუძლია ჩაატაროს დამოუკიდებელი შეხვედრა ამ საკითხზე. დელეგატი ამას გაითვალისწინებს.

⇒ შეხვედრა ევროკომისიის დელეგაციასთან, პერ ეკლუნდთან (ხელმძღვანელი) და მარია ლერერასთან და ოლივერ რეისნერთან (პროექტის მენეჯერები)

„ადსა“-ს პრეზენტაცია ევროკომისიის ხელმძღვანელთან და მის თანამშრომლებთან. ჩვენ განვიხილეთ შესაძლო თანამშრომლობის საკითხები. ორი პროექტის მენეჯერი კარგად იცნობს ადგილობრივ სიტუაციას, კერძოდ ადგილობრივ მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების პრობლემებს. მათ სურთ იყვნენ ინფორმირებული მოვლენების განვითარების შესახებ და იციან იმ მწელი სიტუაციის შესახებ, რომელშიც იმყოფება ქუთაისის ადგილობრივი მთავრობა

⇒ **შეხვედრა დავით მელუასთან, აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს ადგილობრივი მმართველობის ეროვნული ასოციაცია**

ჩვენ მას გავაცანით ადს საქართველო ზოგადად და მისი ახლანდელი სიტუაცია. დელეგატი მას ესტუმრა რამდენიმე დღით ადრე, იმ პროექტის განაცხადის კონტექსტთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გაეგზავნოს ევროკომისიის დელეგაციას. ბატონი მელუა მიიჩნევს, რომ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოსთან ერთად, ადგილობრივი მმართველობის ეროვნული ასოციაცია უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული მომავალ საერთო პროექტებში. მას ადს ესახება, როგორც ძირითადი წერტილი ფოკუსირებისთვის იმერეთის რეგიონში. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი მთავრობებს ენიჭებათ პასუხისმგებლობები რესურსებისა და შესაძლებლობების მიუხედავად. ძალიან მნიშვნელოვანია ფოკუსირება მოხდეს მუნიციპალიტეტების შესაძლებლობათა განვითარებაზე. აგრეთვე დიდი პრობლემებია ფისკალურ/ფინანსურ სისტემაშიც.

**14 მარტი. სამუშაო დღე ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს ოფისში.**

⇒ **შეხვედრა ქალაქის მერიაში.**

იმერეთის რეგიონის ვიცე-გუბერნატორთან, ბატონ გიგა შუმანიასთან და ქ. ქუთაისის მერთან, ბატონ ნიკო კაჭკაჭიშვილთან შეხვედრა. ჩვენ მათ მოვახსენეთ ადს-სა და ადსა-ს საქმიანობების შესახებ და ხაზი გავუსვით იმ გარემოებას, რომ ჩვენი მიზნები და სტრატეგია რეგიონში გრძელვადიანია. ჩვენ კიდევ ერთხელ დავადასტურეთ ჩვენი დელეგატის მანდატი და გამოვხატეთ მისდამი მხარდაჭერა, რომელიც ასევე დადასტურებულია ადსა-ს წევრობით მთელს ევროპაში. ჩვენ ქალაქის ხელმძღვანელობა მივიწვიეთ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართება სტრასბურგში და ავლნიშნეთ, რომ მათი დასწრება ფრიად მნიშვნელოვანია. მათ დაადასტურეს თავიანთი მხარდაჭერა იმ შეთანხმებაზე, რომელსაც ხელი მოაწერა ქალაქის წინა ხელმძღვანელობამ და შეგვპირდნენ, რომ მოძებნიდნენ პრობლემის გადაჭრის გზას, რომელიც ეხება ადს-ს საოფისე ფართს და ამას განაცხადებდნენ სტრასბურგის შეხვედრაზე. მათ აღნიშნეს, რომ მეტი გამჭირვალობა და ინფორმაციის გაცვლაა საჭირო ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოსგან. დელეგატთან შეთანხმდნენ, რომ ის, შემდგომ კვირაში, გაუგზავნის პირველ შეტყობინებას/ კომუნიკაციას ადგილობრივ პარტნიორებს და ამას მოჰყვება ყოველთვიური ურთიერთობა მათთან: თბილისისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებთან, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან და ქუთაისი-ნიუპორტის ასოციაციასთან.

⇒ **შეხვედრა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან (საია)**

საიამ წარმოგვიდგინა ქალთა უფლებების პროექტი და შემოგვთავაზა მისი ერთგვარი სახით გაგრძელება. ქ-ნმა ვალმორბიდა ისევ დაუკავშირდება დონორებს (შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტრო) პროექტის შესაძლო გაგრძელებისთვის. დელეგატი საია-ს მოთხოვს პროექტის სამუშაო ვერსიის შემუშავებას. ჩვენ დავესწართ მალან საინტერესო თრენინგს, რომელიც შემუშავებულია იურიდიული ფაკულტეტის ახალგაზრდა სტუდენტებისთვის. საია-მ დაადასტურა, რომ ისინი მონაწილეობას მიიღებენ პარტნიორთა შეხვედრაში, რომელიც სტრასბურგში გაიმართება.

⇒ **შეხვედრა ქუთაისი-ნიუპორტის ასოციაციასთან**

ჩვენ შევხვდით ქ-ნ მადონა მეგრელიშვილს და ასოციაციის სხვა წევრებს. ქ-ნმა მადონამ გვითხრა, რომ ის ფლობს მცირე ინფორმაციას ადს-ს სიახლეების შესახებ და პროგრამის თვალსაჩინოებაც არაა შესაბამისი. თუმცა, დელეგატმა ანგარიშისთვის მოგვახსენა, რომ ის ასოციაციას აწვდის ინფორმაციას ადს-ს საქმიანობის შესახებ. რაც შეეხება თვალსაჩინოებას, ის ინარჩუნებს თავშეკავებულ პოზიციას, სანამ ადს შესაბამისად არ დარეგისტრირდება. ჩვენ შევთანხმდით, რომ ქ-ნი მადონას და ქუთაისი-ნიუპორტის ასოციაციას ოფიციალური სახით ინფორმაცია ადს-ს საქმიანობის შესახებ უნდა მიეწოდოს ყოველთვიურად და როცა დადგება ამის საჭიროება, ჩართული უნდა იყოს საქმიანობებში. ჩვენ მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ ქუთაისის ეწვია ფოტოგრაფი ნიუპორტიდან ისე, რომ ქუთაისი-ნიუპორტის ასოციაცია ამაზე ინფორმირებული არ იყო. შესაბამისმა ფაქტების მოძიებამ არ დაადასტურა ეს პრეტენზია და ნიუპორტი-ქუთაისის ასოციაციის ხელმძღვანელობამ ამ ვიზიტის შესახებ, 27 თებერვალს გაუგზავნა შეტყობინება ქ-ნ მადონას.

⇒ **ვიზიტი კომპანიასთან ქ. ბათუმში**

ქ. ბათუმში ჩვენ ვესტუმრეთ კომპანიას, რომელმაც ქველმოქმედების სახით გაიღო 5.000 ევრო ადს-ს დაარსებისთვის. ჩვენ მას ვთხოვეთ დამატებითი ქველმოქმედება გაეწია ადს-სთვის და 50,000 ევრო გაეღო ჩვენთვის, როგორც ეს თავიდან იყო შემოთავაზებული, მაგრამ ვერ დავინახეთ მყარი მხარდაჭერის სურვილი მენეჯერისგან და ჩვენ მოგვიწვია ამ განაცხადის გაუქმება. თუმცა, ჩვენ შევთანხმდით რომ გავგვეკეთებინა განაცხადი პროექტზე, რომელიც შეეხება ადგილობრივი მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობათა ამაღლებას და ეს დაფინანსდება 5,000 ევროთი 2007 წელს - ეს დადასტურდა. დელეგატი,

მუნიციპალურ ერთეულთან კონსულტაციის საფუძველზე. განავითარებს განაცხადს პროექტზე და წარადგენს მას სტრასბურგის შეხვედრაზე.

⇒ **შეხვედრა ზ ჟვანიას სახელობის აკადემიაში**

ჩვენ შევხვდით აკადემიის დირექტორს. აკადემია გაცილებით დიდ შენობაშია განთავსებული და დელეგატმა მოიძია, შესაძლებელია თუ არა, შესაძლო თანამშრომლობის საფუძველზე, გამოიყენონ შენობა, თუ მუნიციპალიტეტი ვერ გადაწყვეტს შენობის საკითხს. აკადემია ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის სამსახურისა და განათლების სამინისტროს წინაშე. პირველი თვის საქმიანობების შეფასება

⇒ დელეგატის შეფასება

სამი თვის გამოსაცდელი ვადის გასვლის საფუძველზე, ადსა-ს შეფასება დადებითია.

- დელეგატი მოქმედებს და ასრულებს თავის მანდატს და ადსა-სთან თანამშრომლობს ყოველდღიურად.
- მან დაიწყო თავისი პირველი საქმიანობა და მისი ორგანიზებით მოაწყო ოფისი (ძნელი სიტუაციის მიუხედავად), აიყვანა თანამშრომელი და აღჭურვა საოფისე ტექნიკით.
- ის თანამშრომლობდა პროექტის მთავარ თანამონაწილეებთან იმ სიძნელის მიუხედავად, რომ ორგანიზაციისთვის განსაზღვრული წესდების რეგისტრაცია არ გააჩნდა.
- ის მართებულად მართავდა რესურსებს, რომელიც მას ადსა-მ გამოუყო.
- ის კონსტრუქციული მიდგომით მონაწილეობდა სხვადასხვა სახის თრენინგებსა და სწავლებებში
- ის შესაბამისი სიფრთხილით გაუმკლავდა პრობლემებს ადსა-სა და ადსა-ს სახელით.
- ის მუშაობს წესდების საკითხებზე და იმ ზღვრამდეა, რომ მიაღწევს საბოლოო შეთანხმებას.
- ჩვენ ვათავისებთ იმ გრძნობას, რომ ის იზიარებს ადსა-ს სულისკვეთებას.
- მან წარმართა პირველი თვალსაჩინო კამპანია ადსა-ს შესახებ (მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული იყო პრობლემით სააგენტოს წესდების შესახებ)
- ის საქმიანობათა შესახებ ანგარიშს აბარებს ადსა-სა და საერთაშორისო პარტნიორებს.

შენიშვნები გამოსასწორებლად:

- დელეგატმა ადსა-სთან ერთად მონაწილეობა მიიღო პროექტის შემუშავებაში. მას გააჩნია კარგი კონტაქტები ადგილობრივ დონეზე. თუმცა, მას ესაჭიოება თრენინგი პროექტის წერის მეთოდოლოგიაში.
  - ადსა-ს თვალსაჩინოება დაბალია გამომდინარე რთული სიტუაციიდან, რაც ადსა-ს ხელახალ რეგისტრაციას შეეხება. ამას ჭირდება გაუმჯობესება მედიასთან სტრატეგიის განვითარებით.
  - შეთანხმებულია, რომ დელეგატი ანგარიშს საქმიანობათა შესახებ წარუდგენს ადგილობრივ პარტნიორებს და შესაძლო თანამშრომლობას უზრუნველყოფს სულ მცირე, ყოველთვიურ საწყისებზე.
  - საინფორმაციო ფურცლის გამოქვეყნება (ციფრულ ფორმატში მაინც)
- ადსა მტკიცებს კონტრაქტს. დელეგატისა და მისი ასისტენტის ხელფასის მცირეოდენი მომატება დამტკიცებულია, რათა მათ შეძლონ დაფარონ სოციალური ხარჯები. სრული ანგარიში ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ, წარმოდგენილი იქნება სტრასბურგში, პარტნიორთა შეხვედრაზე.

*სტრასბურგი, 2007 წლის 23 მარტი.*